საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბასილი

ბასილი, XI ს. კალიგრაფი. გადაწერა გრიგოლ ღვთისმეტყველის (ნაზიანზელის) თხზულებათა კრებული (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი), რ-ის ერთ-ერთ ანდერძში ვკითხულობთ: „ლოცვა ყავთ უღირსისა და ფრიად ცოდვილისა უცბად მჩხრეკალისა და ბასილისათვს“. წიგნი საშ. ზომისაა (28,7X21,2 სმ). უმეტესად ექვთიმე მთაწმიდელის მიერ ნათარგმნი თხზულებებია შესული. შესრულებულია ლამაზი ნუსხური ხელით, ნაკლებ გადაბმული, მკაფიო ასოებით. ოსტატი ყოველი თხზულების დასაწყისს საზედაო ასოებითა და კარგად მოფიქრებული ფერწერული სამკაულით აფორმებს.

ფურცლის ჩარჩოები დახვეწილი გეომ. ფორმისაა. ხელნაწერს თ. ჟორდანია 1031 წლით ათარიღებს.

ლიტ.: ბ ე რ ი ძ ე ვ., ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967; Описание рукописей Тифлисского церковного музея Карталино-кахетинского духовенства, сост. Ф. Д. Жордания, кн. 1 – 2, М., 1902 – 03.